17/04/2026

შემოქმედის ეპარქიის სასულიერო პირებისთვის პროფესიული გადამზადების ორდღიანი კურსი ჩატარდა

საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში, სხვადასხვა ეპარქიაში გრძელდება სასულიერო პირთა საბაზისო გადამზადება თემებზე – „ღირებულებითი განათლება“ და „სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები“.

გადამზადების პირველი ეტაპი ამა წლის 16–17 აპრილს შემოქმედის ეპარქიის სასულიერო პირებისთვის ჩატარდა და მას უძღვებოდნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის არაფორმალური განათლების პროგრამის ხელმძღვანელი ანი კუდუხაშვილი, ამავე პროგრამის კონსულტანტი მანანა

ჯინჭარაძე და ფსიქოლოგი რუსუდან კილაძე.

გადამზადების ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ „ღირებულებითი განათლების“ ძირითად პრინციპებს, არაფორმალური განათლების თავისებურებებსა და სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეებთან ეფექტიანი კომუნიკაციისა და მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

გადამზადების დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცემათ საბაზისო კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

ბგეგმილია

sazu.ge